სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ბრძანება № 42

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი-სამეცნიერო ხასიათის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

12 ივლისი , 2019 ქ. თბილისი

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[4] მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და მე-13 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2019 წლის 12 ივლისს გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი-სამეცნიერო ხასიათის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

- აღმოსავლური და სომხური ხელნაწერების განყოფილება - განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
- კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება-განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
- წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილება-განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
- ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილება-განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3
ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge

- არქივმცოდნეობისა და ელექტრონული არქივის განყოფილება -განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
- საძეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის განყოფილება- განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
- ხელნაწერ სიძველეთა დაცვისა და აღრიცხვის დეპარტამენტი - დეპარტამენტის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

2. დამტკიცდეს:

ა) სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი-სამეცნიერო ხასიათის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობების დასაკავებლად აუცილებელი პირობები ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) საკონკურსო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად;

3. გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად განისაზღვროს კონკურსის 2 ეტაპი:
- განცხადებების გადარჩევა
- გასაუბრება

4. საბუთების მიღება იწარმოებს 2019 წლის 12 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით 11:30 სთ-დან 17:00 საათამდე ცენტრის საქმისწარმოების სამსახურში მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1/3 .

5. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2019 წლის 25 ივლისი 15.00 სთ.

6. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2019 წლის 31 ივლისისა.

7. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს აღნიშნული ბრძანებისა და თანდართული დოკუმენტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება;

8. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი-სამეცნიერო ხასიათის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭო სრული შემადგენლობით;

9. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საფუძველი: სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის ოქმი N 3.

დირექტორი *ზაალ აბაშიძე*